

ქართული წყაროები ევროპული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის კონტექსტში გივი მარგველაშვილის „მუცალის“ მიხედვით

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი

ელ. ფოსტა :gobianiguranda78@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac.2023.13><https://doi.org/10.52340/lac>

პოსტმოდერნისტულ ნარატივში სამყარო მოიაზრება როგორც ტექსტი, ნიშნების დაუსრულებელი თამაში, რომელიც განსაზღვრავს ავტორის, მკითხველისა და პერსონაჟის ურთიერთმიმართებას. აქ არ არსებობს ჩაკეტილი სივრცეები, ავტორიტეტები, მთავარი გმირები და მთავარი როლები, ყველაფერს ადამიანის გონება, გული და თავისუფალი ნება განაგებს. ინტერპრეტაციის თავისუფლება პოსტმოდერნისტული ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია. ამიტომაც არის, რომ პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების პერსონაჟები ყოველგვარი დროითი, სივრცითი და ჟანრობრივი დაბრკოლებების გარეშე ტექსტიდან ტექსტში თავისუფლად გადადიან. სწორედ ამის ნათელი ილუსტრირებაა გერმანულენოვანი ქართველი მწერლისა და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის რომანი - „მუცალი“, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული პოსტმოდერნიზმის კლასიკურ ნიმუშად. წინამდებარე სტატიის მიზანია, ამ რომანის მაგალითზე, აჩვენოს როგორ ორგანულად და ბუნებრივად ერწყმის ქართული თემატიკა და ქართული წყაროები ევროპული პოსტმოდერნისტული ლიტერატურის დისკურსს და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვას გივი მარგველაშვილს როლსა და დამსახურებას საერთო ქართულ-გემანული ინტერკულტურული კომუნიკაციის კონტექსტში.

საკვანძო სიტყვები: ნარატიული თამაში, ინტერპრეტაცია, დეკონსტრუქცია, სიმულაკრი, ალტერნატიული რეალობა, გაქცევის ესთეტიკა, ქართული წყაროები ევროპულ კონტექსტში

პოსტმოდერნიზმმა სხვა, უფრო თავისუფალი სამყაროს, რეალობის არსებობის საჭირობა შექმნა, სადაც არ არსებობს ხელოვნური ბარიერები, საზღვრები, სტერეოტიპები, ჩაკეტილი სივრცეები (ტექსტები), ავტორიტეტები, მთავარი გმირები და მთავარი როლები, სადაც ყველაფერს ადამიანის გონება, გული და თავისუფალი ნება განაგებს. პოსტმოდერნისტული ნარატივი არ სცნობს არანაირ შეზღუდვას და ეს თავისუფლება მას

სათქმელის ღიად, შეუფარავად ჩვენების და გამოხატვის უშრეტ შესაძლებლობას აძლევს. სამყარო მოიაზრება როგორც ტექსტი, ნიშნების დაუსრულებელი თამაში, რომელიც განსაზღვრავს სწორედ ავტორის, მკითხველისა და პერსონაჟის ურთიერთმიმართებას. როგორც მაია ჯალიაშვილი აღნიშნავს: „პოსტმოდერნიზმმა მკითხველთან დისტანცია შეამცირა“ [ჯალიაშვილი 2005:6]. ავტორი შეგნებულად ცდილობს კულისებს მიღმა დარჩეს და შორიდან ადევნოს თვალყური რეციპიენტის ქმედებას, რათა მეტი გამბედაობა და თავისუფლება მიანიჭოს მას. ესეც, ბუნებრივია, პოსტმოდერნისტული თამაშის ერთ-ერთი უმთავრესი პრინციპია. მკითხველი მართო რჩება სცენაზე და „ჩაბმულია თამაშში საკუთარ წარმოდგენებთან“ [წიფურია, 2005:23]. მხოლოდ მასზეა დამოკიდებული ამ ინტერტექსტუალურ ქაოსსა და გაურკვევლობაში იპოვის თუ არა სწორ გზას. პოსტმოდერნიზმი ექვითაა განწყობილი ყოველგვარი ჭეშმარიტებისადმი.

„ნარატიული თამაში“, როგორც კონსტანტინე ბრეგაძე აღნიშნავს, პირველ რიგში, კლასიკური ტექსტების გაგრძელებას და გათამაშებას გულისხმობს [ბრეგაძე, 2013:69], რომელიც სოციალურ-პოლიტიკური გარემოს გათვალისწინებით, ახალ, განსხვავებულ, ალტერნატიულ რეალობას გვთავაზობს. პოსტმოდერნისტული ნაწარმოებების პერსონაჟები ძალიან აქტიური, გახსნილი მოსაუბრეები არიან და ყოველგვარი დროითი, სივრცითი და ჟანრობრივი დაბრკოლებების გარეშე ტექსტიდან ტექსტში თავისუფლად გადადიან. მკითხველისთვის ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება ახალი ტექსტის კითხვის დროს სულ სხვა ნაწარმოებიდან გმირის შემოყვანა და მისი ხაზის გაგრძელება/განვრცობა ახლებური ინტერპრეტაციით. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე გერმანულენოვანი ქართველი მწერლისა და ფილოსოფოსის, გივი მარგველაშვილის რომანში - „მუცალი“, რომელიც თამამად შეიძლება ჩაითვალოს ევროპული პოსტმოდერნიზმის კლასიკურ ნიმუშად.

„მე წიგნის პერსონაჟი ვარ, ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნში ვცხოვრობ და მხოლოდ წიგნის ორ ყდას შორის გამომწყვდეულს შემძლია არსებობა“ - ასე იწყებს გივი მარგველაშვილი თავის ცნობილ რომანს და ამით ხაზს უსვამს წიგნისა და კითხვის მაგიური პროცესის კულტის არსებობას მის შემოქმედებით ესთეტიკაში. ის, როგორც ავტორი, მთლიანად უჩინარდება ტექსტისმიერ, მეორეულ სამყაროში და ამით ცდილობს კიდევ უფრო მეტი სიცოცხლისუნარიანობა, რეალური ელფერი და „გამბედაობა“ შესძინოს პერსონაჟებს. „მუცალი“ თავიდან ბოლომდე ევროპული ლიტერატურის ნაწილია. როგორც სამენციერო კრიტიკაში აღნიშნავენ, მას პოსტმოდერნისტული რომანის ყველა ძირითადი და არსებითი ნიშანი ახასიათებს, როგორცაა: ციტატურობა, დეკონსტრუქტიულობა, ინტერტექსტუალობა, ორმაგი კოდირება, ინტერკულტურულობა, ფრაგმენტულობა, კადრირების პრინციპი,

ირონია, პასტიში და სხვა. „მუცალი“ უკვე დაწერილი ტექსტის უბრალო „გადაწერა“, ასლი არ არის, ის მოდელირებაა, „სიმულაკრი“, რომელიც თავის თავში მოიცავს დამკვირვებლის ხედვის კუთხეს. ყველაფერი დამოკიდებულია მკითხველის (დამკვირვებლის) ინტერპრეტაციასა და აღქმაზე. „ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ის შთაბეჭდილება, რომელსაც მკითხველზე ვახდენთ, რადგან იგი, თუ საკმარისად ღრმა აღმოჩნდა, რეალობის განცდას გვანიჭებს... მაშინ ის განსაცდელი, რომელიც წიგნებში გვერგო, უფრო ასატანი ხდება, ხოლო თემატური სიკვდილი - უფრო იოლი“ [მარგველაშვილი, 2001:11]. ასეთია რომანის მთავარი გმირის, მუცალის, დამოკიდებულება მკითხველისადმი, რომელიც მარგველაშვილის ესთეტიკაში „წიგნის კულტთან“ ერთად „მკითხველის კულტსაც“ ქმნის (მ. ჯალიაშვილი). ავტორს მუდმივი, აქტიური დიალოგ აქვს მკითხველთან და მოქმედება ყოველთვის არა დინამიურად, არამედ ქაოტურად, დაუგეგმავად, კადრიერების პრინციპით მიმდინარეობს. ადამიანი მუდამ საზღვრებშია და მათ გადალახვას ლამობს, მუდმივ „ძიებაშია“ და სწორედ ეს ფუნდამენტური მოუსვენრობა იწვევს მისი ცნობიერების გახლეჩას და რეალობისგან „გაქცევას“. როგორც თავად ავტორი, გივი მარგველაშვილი აღნიშნავს წიგნის წინასიტყვეობაში, სწორედ ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის ჟ. დელიოზის „გაქცევის ესთეტიკა“ უდევს საფუძვლად რომანს - „მუცალი“ - „ნუ დასვამთ წერტილებს, სჯობს ხაზები გაავლოთ!“ და იქვე განმარტავს, რომ „გაქცევა“ აქ ონტოლოგიური ცნებაა და არაფერი ესაქმება შიშთან და თავის დამძვრენასთან. ლიტერატურა ამ „ხაზის“ გამოთავისუფლების ეგზისტენციალური მცდელობაა, რომელიც შემდეგ წიგნის ფიგურების/ პერსონაჟების ხაზად იქცევა და ვითარდება მკითხველის აღქმისა და ინტერპრეტაციის მიხედვით.

მარგველაშვილი ნავთსაყუდლად დაწერილ ტექსტს ირჩევს. „მუცალი“ ქართული კლასიკური ტექსტების, კერძოდ, ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანის“ „განვრცობილი და მოდერნიზებული ვერსიია“ [მარგველაშვილი, 2001:7], ერთგვარი პოსტმოდერნისტული „გაგრძელება/გათამაშება“, რომელიც ყველაზე მეტად მის შინაარსსა და იდეოლოგიაში იკვეთება. „მე ვაგრძელებ ვაჟა ფშაველას პოემაში გავლებულ ალუდა ქეთელაურის ხაზს, ვადიდებ და ვაძლიერებ მას მეორით: - ქისტი მუცალის ხაზით“ [იქვე 5]. მართალია ტრაგიკული ბედისწერის გამო მარგველაშვილის ყველა ნაწარმოები გერმანულ ენაზე იწერებოდა, მაგრამ მის მრავალფეროვან და ორიგინალურ შემოქმედებაში საქართველოს თემატიკა და ქართული წყაროები ყველაზე გამორჩეულ და მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. „მუცალი“, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ხევისურულ-ქართული თემა-თემის, ქართული წიგნის პერსონაჟთა ცხოვრება რეალური მკითხველის ცნობიერების სარკეში, „დე - და რე - ტერიტორიალიზაციის

დელიოზისეული დიალექტიკის ლიტერატურული გამოხატვის ფორმა, - როგორც ფიქსირებული ეგზისტენციურ-თემატური წერტილიდან გაქცეული, საზღვრებს ვერშეგუებული და მასთან მეზრძოლი ადამიანის ცხოვრების რიტმიკა“ [მარგველაშვილი, 2001:9].

მხატვრულ ტექსტში მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს სათაური, რომელიც მთლიანი ტექსტის გასაღებია. გალპერინის ლინგვისტურ კონცეფციაში სათაური წარმოადგენს საწყის წერტილს ტექსტის კონცეპტის შექმნაში. მისი მაპროგნოზირებელი ეფექტი მკითხველის ყურადღებას მიმართავს ნაწარმოების მთავარი იდეისკენ. სათაური პირდაპირ ან ირიბად გამოხატავს ნაწარმოების იდეას, მის კონცეპტს [Гальперин, 1981:133-134]. პოსტმოდერნისტულ ნარატივში ტექსტი და სათაური წარმოქმნიან ახალ ერთიან შეტყობინებას. სათაურს დომინანტური ფუნქცია აქვს ტექსტის იდენტიფიკაციისთვის. გივი მარგველაშვილის პოსტმოდერნისტული რომანის სათაური „მუცალი“, მთავარი გმირის სახელი, ზუსტად გამოხატავს მთლიანი ტექსტის კონცეპტუალურ ნარატივს და მიმართულია ნაწარმოების მთავარი იდეისკენ - საზოგადოებიდან, საძულველი, დიქტატორული თემა-თემიდან, „გაქვავებული, ტრადიციული ცხოვრების წესად შეჭმუნული წერტილიდან“ გაქცევას ხაზისკენ, „ეგზისტენციურ-თემატური ინკარნაციისკენ“, რომლის მთავარი შემომქმედი და ინტერპრეტატორი წიგნის სამყაროს რეალური მკითხველია. მუცალი ქართული კლასიკური ლიტერატურიდან წამოყვანილი/გაცოცხლებული პერსონაჟია. ვაჟას მუცალისგან განსხვავებით, რომელიც პოემის დასაწყისშივე კვდება, მარგველაშვილის მუცალი „თეთრ მერანზე“ ამხედრებული აგრძელებს ცხოვრების ხვეულებით და ზიგზაგებით დახლართულ ხაზს „შავ თემში“ და რადიკალურად განსხვავებულ, აქტიურ, თანამედროვე ადამიანის მეზრძოლ სახეს ქმნის, რომელიც არ უშინდება წინააღმდეგობებით, დაწერილი ტექსტებითა და ესთეტიკური სტერეოტიპებით შექმნილ ბარიერებს და, როგორც თავად ავტორი აღნიშნავს, ალუდასთან (ალუსთან) ერთად, რომელსაც თანამოაზრედ გაიხდის, ჯერ წიგნის სამყაროს უბნის თავზე, ხოლო შემდეგ კი, უფრო მაღლა, წიგნის სამყაროს კოსმოსში ადის და ახლი ეპოქის ასტრონავტი ხდება [მარგველაშვილი, 2001:8].

პოსტმოდერნისტი მწერალი-ინტერპრეტატორი იღებს პირველწყაროს მხატვრულ სახეს და რადიკალურად შეცვლილს უბრუნებს მკითხველს. სწორედ ამ მიდგომის მხატვრულ ხორცშესხმას უნდა წარმოადგენდეს გივი მარგველაშვილთან ნ. ბარათაშვილის ლექსიდან მერანის „თეთრი მერნად“ და შავი ყორანის „თეთრ მტრედად“ გარდასახვა და გამოკეთილად პოზიტიური სახე-სიმბოლოებად გარდაქმნა. რომანის გმირი მუცალი გადაწყვეტს პოეზია, სადა მას ქისტები ხევსური ალუდა ქეთელაურის დაუმორჩილებელი „შავი მერანის“

ერთადერთ პოტენციურ მფლობელად მოიაზრებენ, რადგან იმ დროს ქისტებში ის „პირველობდა და ხევსურებზე თავდასხმით სახელი ჰქონდა მოპოვებული“, სინამდვილედ აქციოს და მერანის ერთადერთი და ჭეშარიტი მეპატონე გახდეს. მუცალი მას „საბედისწერო ურჩხულს“ უწოდებს და საკუთარი მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ მასთან „შეთამაშება“ „უგზო-უკვლო ჭენებისათვის განწირული მსხვერპლია“ და მეტი არაფერი, შავი ყორანი კი მისი (შავი მერნის) განუყოფელი ნაწილი „დამატება“ და არა რაშის და მხედრის მდევარი. მუცალი თავის უსამშობლობასა და უთვისტომობაში შავ მერანსაც ადანაშაულებს და საკუთარ თავსაც, რომ ბოლომდე არ წაიკითხა ლექსი და მეტი სიფრთხილით არ მოეკიდა სტროფებში „ჩასაფრებულ“ რისკებს: „მერანის ზურს მოვექეცი და ყოველივე წარსულად იქცა: მთები, ქისტები, ნათესავები. ამ ფატალური წუთიდან თემის მსხვერპლი გავხდი, სადაც უბადრუკი, მეორეხარისხოვანი როლიდა მერგო“ [მარგველაშვილი, 2001:28]. ლეგენდებით მოცულმა და დიდებულმა შავმა მერანმა თავისი შავი ყორნით/ ყვავით მუცალის მონუსხვაც მოახერხა და მისი „სრბოლა“ საბედისწერო შედეგით დასრულდა. თუმცა მკვდრეთით აღმზდგარი მუცალი ფარხმალს არ ყრის და თომინოს (თემა,თემი, დომინო) თამაშში ახალი, უფრო პოზიტიური ქვები (ნიშნები -ხაზგასმა ჩვენია) შემოჰყავს ფატალური ბედისწერის შესაცვლელად, კერძოდ, ლურჯა ცხენისა და მტრედის ნაფოტების წყვილით შექმნილი თეთრი მერანი და თეთრი მტრედი, რომლებიც რადიკალურად განსხვავდებიან შავი მერანისა და შავი ყორანის წყვილისგან და უფრო იმედით განაწყობენ ავტორს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თეთრი მერანის შემადგენელი ლურჯა ცხენის შემოყვანა სხვა დაწერილი ტექსტიდან, კერძოდ, ქართული კლასიკური პოეზიიდან, გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენების“ ერთგვარი ალუზიაა, რომელიც ავტორის მხრიდან სწორად და მიგნებულად გამოყენებული რიტორიკური და მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხია, რითაც კიდევ ერთხელ იკვეთება მარგველაშვილის დამოკიდებულება ქართული ტექსტების და ზოგადად ქართული ფენომენისადმი. მუცალს სჯერა, რომ თეთრი მერანი და ცაში მოლივლივე მტრედი, როგორც საიმედო მცველი, მკითხველის რეალურმა თავმა რეალური წარმოდგენის სახით თემში გამოუგზავნა, რათა ისტორიის მშვიდ და უსაფრთხო ტერიტორიაზე გაექროლებინა. მართალია რომანის გმირისთვის ხანმოკლე აღმოჩნდა ეს „ქროლვა“, მაგრამ: „საკმარისი იმისთვის, რომ ამ მშვენიერი ლურჯა ცხენით დავმტკბარიყავი და თავისუფლებისკენ ჭენება იმისთვის შემედარებინა, რაც მე, თითქმის საუკუნის წინ შავი მერანით განვიცადე“ [მარგველაშვილი, 2001:64] და რაც, სამწუხაროდ, ტყული და იმედგაცრულება აღმოჩნდა წიგნის გმირისთვის.

მართალია თეთრი მერანი და თეთრი მტრედი თავისუფლების, პროგრესის, შინდაბრუნების საწყისია, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი, დაწერილი ტექსტიდან გამომდინარე (ვგულისხმობთ ნ. ბარათაშვილის „მერანს“-ხაზგასმა ჩვენია), მაინც გარკვეული სიფრთხილით ეპყრობა ახალ კონცეპტუალურ იმაგოებს და თვლის, რომ რადგან „თემის მუდმივი ბინადარნი ჯერ არ გამხდარან, ამიტომ მათი გამოჩენა თემში ნაადრევი იქნებოდა“ და გარკვეულ რისკებთან და საფრთხეებთან იქნებოდა დაკავშირებული [მარგველაშვილი, 2001:53], რადგან რეალურ „თავებს“ მათთვის ჩვენს ისტორიაში მუდმივი ადგილის მინიჭება საჭიროდ არ მიაჩნიათ, „რაშიც და მტრედიც შესაძლებლობათა ფორმებია“ მხოლოდ, რომელიც თემში თემატიკის შეცვლას ვერასდროს იწვევს.

ასევე საინტერესო სიმბოლური სახეა რომანში „თხის მწყემსები“, რომელიც რადიკალურად უპირისპირდება თეოლოგიურ ლიტერატურაში არსებულ მყარ შესიტყვებას - „მწყემსი კეთილი“. მარგველაშვილისეულ „თხის მწყემსებს“ სულიერებასთან, სიკეთესა და მზრუნველობასთან არაფერი აქვთ საერთო, ისინი სახარებისეული „მწყემის კეთილის“ ხელოვნურად დეფორმირებული სახეა, ერთგვარი ირონია, რომელიც ბრბოს მმართველს, ყოველგვარი პროგრესის და ნოვაციის ჩამხშობს, დრომოჭმული წესწყობილების დამცველს და ალეგორიულად საბჭოთა პერიოდის უშიშროების, ე.წ. სუკის აგენტების სიმბოლურ სახეს წარმოადგენს, რომლებმაც რადიკალურად სხვა რელსზე გადაიყვანეს მარგველაშვილის ოჯახის ტრაგიკული ისტორია. „თხის მწყემსები“ არის სწორედ ის ძალა, რომელის აფერხებს და აბრკოლებს წინსვლას და პროგრესს დრომოჭმულობის, სიძველის, იდეოლოგიური სიბეცისა და სტაგნაციის სიმბოლურ „საუფლოში“ - ხევსურეთში, იგივე „გიგლეთში“, სადაც აბსოლუტური ერთსახოვნება და სიბნელე სუფევს, სადაც „ყოველგვარი ცხოვრება ჩამკვდარია“. „ყველა იმდენად გავდა ერთმენთს, ვერც განასხვავებდა კაცი ... ყველას ერთნაირად ეცვა ... სახელიც ერთნაირი ჰქონდათ. ყველას გიგლა ერქვა“ [მარგველაშვილი, 2001 :57-58]. ხევსურეთს ავტორი უპირისპირებს ქისტეთს, როგორც პროგრესის, სინათლის, სიახლის და ცივილიზაციის, დასავლეთის სიმბოლოს. შატილში „ქისტური კონტრაბანდა“ ნათლად წარმოაჩენს არა მხოლოდ იმ კონტრასტს, რომელიც ამ ორ სამყაროს შორის არსებობს მენტალურად, აზროვნების თავისუფლების ხარისხით, კულტურით, შეხედულებებით, გემოვნებით, არამედ ხაზს უსვამს ერთგვარ „ქისტურ ზეგავლენას“, რაც სინათლისაკენ, ცივილური სამყაროსკენ ლტოლვას, შინაგან კულტურულ-ესთეტიკურ და ზნეობრივ ორიენტაციას გულისხმობს. ტექსტში ამ კონცეპტის საინტერესო სახე-სურათია შატილში საკმაოდ „გაყიდვადი“ და „მოთხოვნადი“ „თხის ქოთნები ქისტური ორნამენტებით“, როგორ სიმბოლო ორი ცივილიზაციის, ორი კულტურის, ორი საწყისის შერწყმის შესაძლებლობის,

რომელსაც, მიუხედავად ფორმაში გამოწყობილი, გრძელი რეზინის ხელჯოხებით აღჭურვილი „თხის მწყემსების“ სასტიკი და უკომპრომისო წინააღმდეგობებისა, პერსპექტივა და მომავალი ნამდვილად აქვს და ამაში, როგორც თავად ავტორი მიიჩნევს, გადამწყვეტი როლი სწორედ მის თემატურ თემა-თომინოს ფიგურებს მიუძღვის, რადგან ამ ნარატიულ თამაშში სულ უფრო და უფრო ძლიერდება თეთრი მერანისა (ლუჯა ცხენის) და თეთრი მტრედის (ხის ნაფოტის) მძლავრი ზემოქმედება, რომელიც „შორს ჩვენი თემის თავზე რეალური მკითხველის თავებსა და მასმედიაში ჩნდება და შემდეგ თემის ისტორიაზე პროეცირდება“ [იქვე:69]. მთავარი ის არის, რომ ეს თემატური ფიგურები, „თეთრი კოზირები“, მხოლოდ მისი საკუთრებაა, მისი აზრის ნაყოფია და არა თემის: „მე ის თამაშის გეგმაში ჩავსვი, შემდეგ კი, შესაძლოა, მცირე, მაგრამ შემდგომი მოვლენებისთვის, ძალზე მნიშვნელოვანი რეალობა მივანიჭე“ [მარგველაშვილი, 2001:65]. ასეთია „შავ თემში“ თეთრი მერნით (ლურჯა ცხენით) და ცაში მოლივლილვე თეთრი მტრედით (ხის ნაფოტით) „მონავარდე“ პოსტმოდერნისტი მწერლის ეგოცენტრისტული „გაქცევის ესთეტიკა“, ქისტი მუცალის უსასრულო „გაქცევის ხაზი“ „პრინციპულად უკეთს, წასაკითხად და საცხოვრებლად ვარგის პირობებში“ გადანაცვლების ურყევი რწმენით.

რომანში გვხვდება ინტერლინგუალური პასაჟებიც, მაგალითად, გერმანულ ენაში ისეთი ქართული სემანტიკური ერთეულების შემოტანით, როგორებიცაა Schish -ი და Doubleschisch -ი, როგორც თომინოს (დომინო, თემა თემი) შემადგენელი ქვები, ასევე ქართული ლექსიკისთვის დამახასიათებელი სიტყვები: ბეღელი, ხურჯინი, ტიკი ღვინო, ქართული ტრადიციები: ცხენის მოპარვის ტრადიცია, მარჯვენის მოკვეთის ტრადიცია, სისხლის ადების ტრადიცია, ქართული ლიტერატურული მასალა სხვადასხვა კლასიკური ნაწარმოებებიდან პერსონაჟების თუ სახე-სიმბოლოების შემოყვანის სახით, როგორებიც არიან, მაგალითად: ალუდა ქეთელაური, იგივე ალუ, მინდია, მუნჯი რაინდი (შესაძლოა, გურამ რჩეულიშვილის მუნჯი ახმედის ანალოგიით-ხაზგასმა ჩვენია), მერანი, შავი ყორანი, თეთრი მტრედი, ხის ნაფოტი და ა.შ, რაც ქართული თემა-თემის, ქართული თემატიკის განუყოფელი ნაწილია და ევროპულ პოსტმოდერნისტულ რომანში ორგანულად არის მისადაგებული დასავლურ დისკურსს, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს, სხვა მრავალ ლიტერატურამცოდნეობით ამოცანასა და შემოქმედებით ღირებულებასთან ერთად, გივი მარგველაშვილის დამსახურებასა და წვლილზე ქართული თემა, თემისა და ქართული წყაროების პოპულარიზაციისა და საერთო ევროპულ კონტექსტში გაერთიანების წარმატებული მცდელობის საქმეში.

ლიტერატურა:

1. ბრეგაძე კ., – „პოსტმოდერნისტული რომანის პოეტიკა“. ჟურნალი „სჯანი“. თბილისი #14, 2013
2. გაფრინდაშვილი ნ., სიმონიშვილი მ., აფციაური ნ., - გივი მარგველაშვილის „მუცალი“: პოსტმოდერნიზმის ესთეტიკა და კლასიკური ტექსტების დეკონსტრუქციის პრობლემა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რეცენზირებადი ელექტრონული ბილინგვური სამეცნიერო ჟურნალი "სპეკალი". 2014
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/10/95>
3. დობორჯგინიძე ნ., ცაგარელი ლ., რაისნერი ო., ქავთარაძე გ., - ქართველთა კულტურული კვალი გერმანიაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა. თბილისი.2019. 287გვ.
4. მარგველაშვილი გ., - „მუცალი“. (თარგმანი მაია ბადრიძის). 2001. 366 გვ.
5. მალაზონია დ., მაღლაკელიძე შ., ჭიაბრიშვილი ნ., გახელაძე გ.,- ინტერკულტურული განათლების გზამკვლევი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი გამომცემლობა. თბილისი. 2016. 199 გვ.
6. ჟენეტი ჟ., - „არავინ უწყის, რა არის სტრუქტურალიზმი“. ჟურნალი „კრიტერიუმი“ #3 2001 (თარგმნა მიხო ხარაბაძემ)
7. რატინი ი., - „ვაბულა და სიუჟეტი“. შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2011. 82 გვ.
8. წიფურია ბ., - ინტერპრეტაციის თავისუფლებიდან თამაშის უფლებამდე“. „სჯანი“. თბილისი. #6. 2005
9. წიფურია ბ., - „ქართული ტექსტის საბჭოთა/პოსტსაბჭოთა/ პოსტმოდერნულ კონტექსტში. ილია სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2016. 576 გვ.
10. ჯალიაშვილი მ., - ლიტერატურული სივრცე-თავშესაფარი. 2011.
http://maiajaliashvili.blogspot.com/2011/01/blog-post_4773.htm
11. Гальперин И. Текст как объект лингвистического исследования. «Наука». Москва, 1981. 49.

Georgian sources in the context of European postmodernist literature according to Givi margvelashvili's "Mutsali"

Abstract

Postmodernism created the need for another, free world, reality, where there are no artificial barriers, borders, stereotypes, closed spaces (texts), authorities, main characters and main roles, where everything is ruled by the human mind, heart and free will. The postmodernist narrative does not recognize any limitations, and this freedom gives it a great opportunity to show and express what it has to say openly, undisguised. The world is understood as a text, an endless game of signs, which determines the relationship between the author, the reader and the character.

When reading a text, it is considered a normal event for reader to introduce a hero from a completely different work and continue/expand his line with a new interpretation. We are dealing with such a case in the novel of German-speaking Georgian writer and philosopher, Givi Margvelashvili – "Mutsali", which can be considered a classic example of European postmodernism. "Mutsali" is a part of European literature from beginning to end.

As noted in the criticism, it is characterized by all the main and essential signs of a postmodernist novel, such as: citation, deconstructiveness, intertextuality, double coding, interculturality, fragmentation, framing principle, irony, pastiche and others. "Mutsali" is an "expanded and modernized version" of Georgian classical texts, namely Vazha-Pshavela's "Aloda Ketelauri" and Nikoloz Baratashvili's "Merani", a kind of postmodernist "continuation/play", which is most evident in its content and ideology. In the novel, interlingual passages, Georgian semantic units, Georgian traditions, Georgian literary material are originally adapted and combined with the Western discourse, which once again demonstrates, along with many other literary tasks and creative value, the merit and contribution of Givi Margvelashvili in popularizing the Georgian theme, and Georgian sources. In the case of a successful attempt to unify in a common European context.